ქვეპროგრამა N2

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა

პროგრამული კოდი: 32 05 05 02

თბილისი 2022

მუხლი 1

ქვეპროგრამის დასახელება	სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 32 05 05 02)
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2022 წელი
ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	764,278.00 ლარი
ქვეპროგრამის ხელმძღვანელი	ნუნუ მიცკევიჩი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
ქვეპროგრამის ბიუჯეტის განმკარგავი	მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი/უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ოპერაციული მენეჯერი	მაია ქაჯაია -სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსი

მუხლი 2. ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში, კონკურსის წესით გაიცემა სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი, სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღებაზე დაფინანსება, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს და გააშუქებს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ისტორიის განვითარების საკვანძო, თუ გარდამტეხ თანამედროვე პერიოდისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს/ფაქტებს.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა და მისი პოპულარიზაცია; საქართველოს მეცნიერების შესახებ, სანდო წყაროებზე დაფუძნებული, სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნა.

მუხლი 4. ქვეპროგრამის სტრატეგია

1. კონკურსში გამარჯვებულ პროექტთა დაფინანსების გაცემას ახორციელებს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომ - ფონდი) უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების გაცემის მიზნით ფონდი უზრუნველყოფს:
ა) კონკურსის საჯაროდ გამოცხადებას;
ბ) ბენეფიციართა მიერ მოსამზადებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალის დამტკიცებას;
გ) განაცხადების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;
დ) საკონკურსო კომისიის შექმნასა და მისი საქმიანობის წესის დადგენას;
ე) საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი განაცხადების დამტკიცებას;
ვ) კონკურსში გამარჯვებულ იურიდიულ პირებთან დაფინანსების ხელშეკრულებების გაფორმებას;

ზ) დაფინანსების გაცემას;
თ) გამოყოფილი დაფინანსების შესახებ ანგარიშების ფორმებისა და ანგარიშების წარდგენის ვადების დამტკიცებას;
ი) ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

3. კონკურსზე წარმოდგენილი თითოეული განაცხადისთვის (პროექტისათვის) მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.
4. დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგი სახის ხარჯებს:
ა) ავტორთა, ადმინისტრირების, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;
ბ) ტექნიკისა და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, დაქირავების ხარჯებს;
გ) მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
დ) ოფისის იჯარის, საწვავის, საკომუნიკაციო, საკანცელარიო და პროექტთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯს;
ე) პოსტწარმოების ხარჯს და სხვა.
ვ) გაუთვალისწინებელ ხარჯებს, არაუმეტეს წარმოების ხარჯების 3%-ისა;
5. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას, დამატებით ფინანსური წყაროს სახით იურიდიული/ფიზიკური პირის მხრიდან.
6. დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის და მობილური ტელეფონის შეძენა.
7. პროექტის დასრულების შემდეგ შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება პროექტის წარმდგენ იურიდიულ პირს.
8. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.
9. ფონდი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს შინაარსობრივი და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას პროგრამის ხელმძღვანელთან/ბიუჯეტის განმკარგავთან.

მუხლი 5. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს ფართო საზოგადოება. კერძოდ: სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები, საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები ქართული თემის წარმომადგენლები, ასევე საქართველოს ისტორიითა და მისი კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული პირები.

მუხლი 6. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე სუბიექტები

1. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც უნდა ჰქონდეს სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღების/წარმოების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება, აგრეთვე, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. კონკურსში მონაწილეებს ასევე უნდა ჰქონდეთ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით გადაღებული ფილმების წარმოების გამოცდილება.
2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ავტორთა ჯგუფებს არ აქვს უფლება წარმოადგინონ საკონკურსო განაცხადი.
3. საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო, პოპულარული ფილმის გადაღების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 **წელს.**
4. ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს **50 წუთზე ნაკლები.**

5. ფილმის გამოსახულების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კომპიუტერის სრული ეკრანის ფორმატს. მისაღებია ქვემოთ მოყვანილი ფორმატები, რომლებიც პრიორიტეტულობის მიხედვით არის დალაგებული: Blu-ray, HDV (DV ან MiniDV tapes), DVD.

6. ფილმის საბოლოო პროდუქტი დამკვეთს/ფონდს წარედგინება H.264 და AVI ფორმატის სახით.

7. სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმი გამიზნულია საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის წარსადგენად. ფილმის შინაარსი უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და იოლად აღსაქმელი. ფილმის, როგორც მხატვრული, ასევე ტექნიკური შესრულების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

8. დაფინანსების მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ პროდუქტეზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ფილმის შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. დაფინანსების მიმღები, მიღება - ჩაბარების აქტთან ერთად, ვალდებულია ხელი მოაწეროს უფლებების გადაცემის დოკუმენტს ფონდთან, რომლის საფუძველზეც შემსრულებლის ყველა უფლება შესრულებულ პროდუქტზე გადაეცემა ფონდს 5 წლის ვადით.

10. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი - ფილმის **პროდიუსერი**, რომელიც პასუხისმგებელია საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციაზე/ატვირთვაზე, ფილმის წარმოებაზე, ფილმის შემდგომ გაქირავებისა და საერთაშორისო მაყურებლამდე მიტანაზე. ასევე, ფონდისთვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენაზე.

11. საკონკურსო განაცხადების შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (1 წევრი);

ბ) ფონდი (1 წევრი);

გ) ფონდის მიერ გათვალისწინებული რაოდენობის დარგობრივი ექსპერტი.

12. საკონკურსოდ წარდგენილ განაცხადებს აფასებს კომისია შემდეგი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

N	კრიტერიუმები	სუსტი	საშუალო	კარგი/საუკეთესო
1	**ფილმის სცენარი** იდეა/თემა	1-5	6-8	9-10
2	**ფილმის რეჟისურა** რეჟისორის ხედვა, მოტივაცია, ვიზუალური მხარე	1-5	6-8	9-10
3	**ფილმის გადამღები ჯგუფის კვალიფიკაცია**	1-5	6-8	9-10
4	დასამუშავებლად შერჩეული ისტორიული მოვლენის გაშუქება რამდენად არის მნიშვნელოვანი თანამედროვე პერიოდისათვის	1-5	6-8	9-10

5	ფილმის მოსალოდნელი შედეგი, რამდენად შეუწყობს ხელს პროგრამის მიზანს	1-5	6-8	9-10
შემაჯამებელი ქულა და კომენტარი				

13. ფონდი განახორციელებს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგს, რომლის განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემოწმებას საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს ფონდი, დაფინანსების მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშის წარდგენის საფუძველზე. დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი მოიცავს პროექტის განხორციელების პროგრამულ და ფინანსურ მონიტორინგს, რომლის განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

14. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

15. მონიტორინგის მიზნებისათვის, დაფინანსების მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება დაფინანსების ხელშეკრულებით.

16. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს დაფინანსების ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგის შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

17. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 7. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში, შეიქმნება სამეცნიერო, პოპულარული, შემეცნებითი, სრულმეტრაჟიანი ფილმები, რომლებიც გააშუქებენ და პოპულარიზაციას გაუწევენ ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური ისტორიის განვითარების საკვანძო, მნიშვნელოვან მოვლენებს/საკითხებს.

მუხლი 8. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

2022 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა“ განხორციელდება ორჯერ. ქვეპროგრამის ფარგლლებში აღნიშნული კონკურსი განხორციელდა 2022 წლის თებერვალიდან - ივლისის ჩათვლით, ხოლო მეორე

კონკურსის გამოცხადების ვადაა 2022 წლის ნოემბერი, ხოლო შესრულებული სამუშაოს ანგარიშების წარდგენის ვადაა 2023 წლის იანვარი. - დეკემბერი.

N	ამოცანა	აქტივობა	ვადები
1	ქვეპროგრამის დამტკიცება	ელექტრონული ბაზის მომზადება, ქვეპროგრამის კოორდინირება და კონსულტაციები	2022 წელი
2	კონკურსის გამოცხადება, პროექტების შეფასების ადმინისტრირება		2022 წელი
3	დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და დაფინანსება	საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენა; გამარჯვებული პროექტების დამტკიცება, დაფინანსების ხელშკრულების გაფორმება და თანხების გადარიცხვის უზრუნველყოფა	2022 წელი
4	შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება	ქვეპროგრამის ხელმძღვანელთან შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშის წარდგენა	2023 იანვარი

მუხლი 9. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება
ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახური	ქვეპროგრამის ადმინისტრირება
ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	ქვეპროგრამისთვის საჭირო ელექტრონული ბაზის აწყობა
ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ფინანსური მართვა ადმინისტრირება
დარგობრივი ექსპერტი-კომისიის წევრი	კომისია განიხილავს და აფასებს ქვეპროგრამის ფარგლებში წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს კრიტერიუმების შესაბამისად,

	ადგენს რანჟირებულ სიას და გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულ საკონკურსო განაცხადებს.

მუხლი 10. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

N	სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის ქვეპროგრამა	2022 წელი
1	საქონელი დამომსახურება	1,200.00
2	სხვა ხარჯები	763,078,00
	სულ	**764,278.00**

მუხლი 11. ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება

№	დასახელება	ექსპერტების რაოდენობა	შრომის ანაზღაურების ოდენობა	სულ შრომის ანაზღაურების
1	დარგობრივი ექსპერტი - კომისიის წევრი	3	400.00	1,200.00
	ჯამი:			**1,200.00**

მუხლი 12. ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სხვა აქტივობების ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	საბუჯეტო კლასიფიკაცია	დაფინანსების ოდენობა	2022 წელი
1	სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა (პირველი კონკურსი)	სხვა ხარჯები	363,078.00	თებერვალი - ივლისი
2	სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერა (მეორე კონკურსი)	სხვა ხარჯები	400,000.00	ნოემბერი - დეკემბერი

მუხლი 13. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

13.1. საბაზისო მაჩვენებელი:

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი, სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღების დაფინანსების მიზნით გამოცხადებული კონკურსი.

13.2. მიზნობრივი მაჩვენებელი:

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე დაფინანსებული არანაკლებ ორი სამეცნიერო, პოპულარული, შემეცნებითი, სრულმეტრაჟიანი ფილმი.

13.3. რისკები და მათი დაძლევის გზები:

რისკები	რისკების იდენტიფიკაცია	რისკების დაძლევის გზები
არასათანადოდ წარმოდგენილი პროექტები ან დაფინანსების მაძიებელთა მხრიდან ნაკლები დაინტერესება	ბენეფიციართა მიერ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის აუთვისებლობა	განსახორციელებელი აქტივობების დროული დაგეგმვა